თბილისში, 15 ათასამდე აბონენტს გაზის მიწოდება შეეზღუდება
სამშაბათი, 03 დეკემბერი 2013 20:54

გაცნობებთ, რომ ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე საშუალო წნევის გაზსადენზე ხის დაცემის შედეგად 3 დეკემბრის დღის 4 საათიდან გაზმომარაგება შეუწყდება დადიანის ქუჩას, კინო საქართველოდან გადასასვლელ ხიდამდე, ასევე სვანეთის, ჭყონდიდელის, გომბორის, ჩხიკვაძის, კავთისხევის, დეპოს, ბეჟანიშვილის, მახინჯაურის, ლეჩხუმის და მიმდებარე ქუჩების მოსახლეობას, ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულ კომერციულ ობიექტებს.

გაზმომარაგება აღდგება სამუშაოს დასრულებისთანავე.

"შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" ბოდიშს უხდის თავის აბონენტებს დისკომფორტისთვის და მოუწოდებს მათ დაკეტილ მდგომარეობაში იქონიონ ბინებში არსებული გაზის ონკანები, უყურადღებოდ არ დატოვონ გაზის დანადგარები. გაზის დანადგარებთან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ავარიებზე კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას", - აცხადებენ "ყაზტრანსგაზში"

1 / 2

თბილისში, 15 ათასამდე აბონენტს გაზის მიწოდება შეეზღუდება სამშაბათი, 03 დეკემბერი 2013 20:54

.

2 / 2